ქართული აზრი

„ყოველგვარი სიძულვილის გარეშე, ყველასადმი სიყვარულით, სიმართლის ღრმა რწმენით, რამდენათაც ამის დანახვის შესაძლებლობას ღმერთი გვაძლევს, ვეცდებით მივიყვანოთ ჩვენი საქმე ბოლომდე“.

**აბრამ ლინკოლნი. 1865 წ.**

№ 85 — ნიუ იორკი, ნოემბერი 1970 წ. — **GEORGIAN OPINION** — NEW YORK, NOVEMBER 1970

**ნიუ იორკი, ნოემბერი 1970 წ.**

გასული წლის ნოემბერში შემისრულდა 50 წელიწადი.

ადამიანის ცხოვრებაში ნახევარი საუკუნე საკმაოდ გრძელი მანძილია, რათა თვალი გადაავლოს განვლილ გზას, შეაფასოს თავისი მოქმედება: რა ჰქონდა მიზნათ დასახული, რამდენათ მიაღწია მას და თუ ვერ მიაღწია, როგორ შეიძლება მისი მიღწევა?

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი შევისწავლე. თითქმის ყველაფერი, რაც შეეხება პრაქტიკულ ცხოვრებას და მის გაუმჯობესების ხერხებს, მაგრამ ქართულათ აზრის გამოსათქმელად და მის ქაღალდზე გადასატანად მაინც დამხმარე მჭირდება, რაც უდიდეს ნაკლად მიმაჩნია და ჩემი საზრუნავიც ეს არის. ახლო წარსულში პირადი საქმის გამო დამჭირდა შორეულ აღმოსავლეთში, იქიდან კი ჩვენი სამშობლოს მეზობელ ქვეყნებში მემგზავრა, კერძოდ სპარსეთა და თურქეთში. პრაქტიკულ საქმიანობას მოშორებულს, საშუალება მქონდა დავკვირვებოდი, თუ ჩემსთანა ადამიანი, რომელიც დაიბადა საქართველოში, აღიზარდა საფრანგეთში და ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, — რამდენათ დავრჩი ქართველი სულიერად და ფსიქოლოგიურად და რამდენად მიცემს გული ქართულად, რომელიც ჩეევლინებოდა.

რამდენს მოიგებდა ჩვენი ქვეყანა, რომ ის თავისი თავის მპრობელი იყოს და კარჩაკეტილი არა ცხოვრობდეს?!

მთელი მოგზაურობის მანძილზე საქართველოს ეს მწარე ხვედრი გულს მითუთქავდა და ამ ფიქრებით დატვირთული ჩავფრინდი ჩვენი ისტორიული მეორე მეზობლის, თურქეთის ქალაქ ისტამბულში.

ისტამბული ... ძველი ბიზანტიური კულტურის შუქმფენი ანარეკლი, რომელთანაც გადაბმულია ქართული ცხოვრების დიდი მანძილი და კულტურის საფუძველი, სადაც დღესაც მტკიცეთა სდგას ქართულ-ბიზანტიური ურთიერთობის უკვდავი ძეგლი — ქართული მონასტერი.

როგორც საზოგადოთ ქართული მონასტრები, მათ შორის ისტამბულისაც იბრძოდა ქართული ეროვნობის შემონახვისათვის და ქართული ეროვნული კულტურისათვის. ამიტომ უწოდებს მას ჩვენი ისტორია „ჩვენი კულტურის სავანეს“. ისტამბულის მონასტერი, სხვებთან შედარებით, ახალგაზრდაა, მაგრამ ვინც მას დაათვალიერებს, ვინც მის კედლებში მოქცეულ მდიდარ სამკითხველოს გადასინჯავს, დარწმუნდება, რომ მას თავისი მო-



**ქართული მონასტერი ისტამბულში**

მი სიცოცხლის მიზანი იყო და დარჩა.

როდესაც ჩვენი ისტორიის გრძელ მანძილზე მეზობელ ქვეყანას მიუახლოვდი და თეირანში ჩავფრინდი, გული უცნაურად ამითამაშდა. დარწმუნებული ვიყავი აქ უსათუოდ შევხვდებოდი ქართული წარმოშობის ადამიანს. შეიძლება ამ იმედს აღვივებდა ფერეიდანის ქართველების სიმტკიცეზე გაგონილი თუ წაკითხული ცნობები. ჩემს თავში გაიელვა; როგორი იქნება ჩემი მათთან შეხვედრა. ორი სამშობლოს ჰაერ ნატრული ქართველის შეხვედრა!

შეიძლება თეირანში დახანების სიმოკლის გამო ეს იმედი არ გამიმართლდა ... ვნახე მხოლოდ ერთი, რომელმაც იცოდა, რომ ქართული წარმოშობისაა. ამაზე მეტი არც უნდოდა სცოდნოდა.

გულდაწყვეტილი მოვშორდი თეირანს და გავემგზავრე თურქეთში.

როგორც ვიცით, საქართველო ინდოეთში მიმავალი გზის ჯვარედინია. მის ხელში ჩასაგდებად არა ერთხელ დასტაკებიან იმპერიები ერთი მეორეს. საბოლოოდ კი ის რუსეთის იმპერიამ მიითვისა და ამ წალკოტს მძიმე რკინის ფარდა ჩამოაფარა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა მიმოსვლის ტექნიკის განვითარებას არ შეუცვლია. ნორმალურად, შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი გზები ისევ თბილისში უნდა შეყრილიყვნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უბედობამ ეს ბედნიერება წარგვტაცა და საქართველო გარიყული დარჩა ... მისი ადგილი თეირანმა დაიჭირა ... შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი გზების მთავარ კვანძად ის იქცა, რომელიც უფრო ხელოვნურია და თბილისის ბუნებრივ მიმზიდველობის კონკურენციას მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით ამართლებს. უცხოელებისათვის უფრო თვალწარმტაცი იქნებოდა თბილისზე გავლა, მისი მშვენების, გინდ ერთი საათით ნახვა ... ამით საქართველოს მნიშვნელობა აიწევდა და მსოფლიო ასპარეზს მაღალი ავტორიტეტით მო-

ვალეობა პირნათლად აქვს შესრულებული და საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში და საქართველოში ქრისტიანული კულტურის დაცვაში დიდი მონაწილეობა მიუღია. სამწუხაროდ, მისი დღევანდელი მდგომარეობა მეტად სავალალოა ... მას გამოელია კადრი, თორე იქ კიდევ დიდია შესაძლებლობა, რომ ქცეულიყო უცხოეთში ქართული ენის, ქართული ისტორიის და საზოგადოთ ქართული კულტურის ცენტრად.

ახლო წარსულში მსგავსი კულტურული ცენტრები კერძო ინიციატივით წარმოიშვა: ლონდონში ო. უორდროპის, ლოზანაში კიტა ჩხენკელის და სხ. იქნება ბედმა გაუღიმოს ისტამბოლის მონასტერსაც, მასაც გამოუჩნდეს ენერგიული ინიციატორი და განაახლოს ქართული კულტურის ძველი სავანე.

თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა.

ისტამბულში სულ ორიოდე საათიც არ იყო გასული, რომ სასტუმროში მეწვია ერთი ახალგაზრდა. პირველი სალამი და გამოცნაურება ინგლისურ ენაზე მოხდა. გამოვარკვიე რა, რომ ქართული წარმოშობისაა, დაუყონებლივ გადავედით ქართულ ენაზე და მყის აღსდგა ჩვენში არა მარტო თვისტომობრივი, არამედ ნათესაური სითბო და სიყვარული. ლაპარაკში ჩაურთო, რომ მახლობლად არსებობს ქართული წარმოშობის ხალხით დასახლებული სოფელი, სადაც იმ დღეებში ჯვარს იწერდა ერთი მისი ნათესავი და მთხოვა დავსწრებოდი. დიდი სიამოვნებით მივიღე დაპატიჟება. დანიშნულ დღეს ვეწვიეთ სოფელს. სიამაყით აღმევსო გული, როცა ვნახე საუკუნე დაშორებული ქართული მოდგმის დიდი ჯგუფი: ქართულად მოლაპარაკე, ქართულად მომღერალი, ქართულად მოცეკვავე ...

მე 50 წლის ემიგრანტი, ისინი ორჯერ და კიდევ მეტი ხნის ... ფსიქოლოგიურად და სულიერად კი ქართულ სამყაროს განუშორებელნი. ყველაზე ნათლად აქ ვიგრძენი ჩვენი ეროვნული ძალა ... ქართული ნერგი უცხო მიწაზე გადარგული ქართულად ხარობს და ქართულ ნაყოფს იძლევა ... ქართული თესლის სინოყივრე და ნაყოფიერება.

ამ სითბომ და სიყვარულმა ჩემში ეროვნული სიამაყის გარდა, ეროვნული მოვალეობის გრძნობაც გაზარდა და ნათელი გახდა, რომ ქართული ემიგრაციის მოვალეობა, კულტურულ ცენტრებთან ერთად, ქართული წარმოშობის ხალხთან დაახლოვება, მათი დახმარება, ხელისშეწყობა და არსებული ქართული გრძნობის გაღვივებაა.

ჩემი დაბადების 50 წლის შემდეგ გაკეთებულმა ანალიზმა, ამ მოგზაურობასთან დაკავშირებით დამარწმუნა, რომ ქართველ ადამიანს სამუშაო და გასაკეთებელი ბევრი რამა აქვს და ჩვენი პრაქტიკული მოქმედების ბაზას ესეც უნდა მიემატოს, ხოლო ამის მიღწევა მარტო იმ პირობებში იქნება შესაძლებელი, თუ სულიერად და ფსიქოლოგიურად არ დავშორდით ქართულ ეროვნულ სამყაროს.

**გ. ზალდასტანიშვილი**

## სამი თარიღი

ერის წინსვლა და კულტურული განვითარება გამზომება, უწინარეს ყოვლისა, მასში ეთნიურათა და ისტორიულად თანდაყოლილი თვისებებით, რომელთა მიხედვით მას ეწოდება ან დაწინაურებული, ან ჩამორჩენილი ერი.

განათლებულ ხალხთა არქეოლოგიურ-ისტორიულ ნაწერებსა და გამოკვლევებში ქართველ ერზე საკმარისი დოკუმენტალი ცნობები მოპოვება, რომელშიც ჩვენი ქვეყანა მიჩნეული და ჩარიცხული არის ერთობლივად კაცობრიობის ცხოვრების წარმატების უმჯობეს და აქტიურ თანამსვლელათ და წარმზიდველად. ეს ხარისხი შეძენილი აქვს ქართველ ერს, როგორც შემკრებლობით ამოქმედებულ ფენომენს.

ეთნიურად გამოსახული ერი შეიძლება აგრეთვე აღინიშნოს, როგორც კრებული პიროვნებათა, ხოლო ამ კრებულში ყველანი თანაბრათ არ არიან ცხებულნი ღვთიური მადლით და უნარით. რჩეულთა და აღმატებულთ ერი მიითვლის თავის წინამძღოლადა და გზის გამკვლევათ, მათი დარგისა, უნარისა და ნიჭის კვალობაზე. ასეთები არიან: მეცნიერნი, მოძღვარნი, მხედართმთავარნი, საზოგადო მოღვაწენი, პოლიტიკოსნი, მწერალნი და ებრვე სხვანი. რჩეულთა შორის ზეგარდმო მადლის მთხვევით არიან ისეთნიც, ერის ცხოვრებაში რომ სტოვებენ დაუვიწყარ, სამარადისო ხსოვნასა და პატივისცემას ...

თავის ცნობილ „ქართულ ლიტერატურის ისტორიაში“ დეკანოზი, პროფესორი კორნელი კეკელიძე განსაკუთრებული ღრმა ანალიზით არკვევს კათოლიკოს ანტონ პირველის საზღვარუდებელს და განუზომელი მნიშვნელობას და გავლენას მისი დროის ცხოვრებაში. ღვთის მეტყველი, ფილოსოფი, მატემატიკოსი, ლიტერატორი, ფილოლოგი — ანტონ კათოლიკოსის ნიჭი სწვდებოდა ყოველ დარგს: მისი აპოლოგეტური გამოკვლევა მონოფიზიტობის წინააღმდეგ სამეცნიერო თეოლოგიას ეკუთვნის. ასევე მისი „ქართული ენის გრამატიკა“, ენის სიძველის მიუხედავათ, დღესაც ითვლება სანიმუშო სახელმძღვანელოთ. ყველა ეს და მრავალი სხვა ნამოქმედარი და ნამოღვაწარი ამ შესანიშნავი პიროვნებისა შედის საქართველოს ისტორიაში, როგორც **mutatis mutandis** განმეორება გიორგი მთაწმინდელის მიერ დადებულ ამაგისა. სრულებით გასაგებია, ამიტომ, რომ კორნელი კეკელიძე მეთვრამეტე საუკუნეს უწოდებს ანტონ კათოლიკოსის საუკუნეს ...

**
*

ამ წინათქმით იმისი აღნიშვნა მინდოდა, რომ შემდეგში — მეცხრამეტე საუკუნეში — ქართველი ერის წიაღში აღიზარდა, განვითარდა და ამოღვაწდა ის ადამიანი, რომლის სახელით აღბეჭდილ უნდა იყოს ეს საუკუნე და რომლის ვერაგული მოკვლის ორმოცდაათი წლის შესრულებას ჭმუნვითა და გლოვით იხსენიებს დღეს ბითუმი ქართველი ხალხი.

ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა, მოღვაწეობისა და ერისადმი სამსახურის აღწერა მონოგრაფიას მოითხოვს. საგანგებოთ გამოცემულ კრებულში მცოდნენი შეეცადნენ აესახათ საზოგადოების საყურადღებოთ ესა თუ ის მხარე მრავალფეროვნად დაჯილდოვებულ ქართველი ოლიმპიელისა, რომლის გზით მიიმართებოდა მთლიანად აღებული ქართული ქართული ნაციონალი ჰაზროვნება მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებიდან მოყოლებით.

ილია ჭავჭავაძეზე შეუძლიანთ დაწერონ პოეტებმა — ის იყო პოეტი; მწერლებმა — ის იყო მწერალი; საზოგადო მოღვაწეებმა — ის იყო საზოგადო მოღვაწე; პოლიტიკოსებმა — ის იყო პოლიტიკოსი; მჭერმეტყველობის მოტრფიალეებმა — ის იყო ოქროპირი ორატორი-ტრიბუნი; ქართული ეროვნული სულისდგმის მაღვიებლებმა — ის იყო ამ სულის მაღვიებელი და შეუდარებელი წარმზიდველი; საქართველოს თვით მყოფობისათვის მებრძოლთ — ის იყო გამორჩეული, თავდადებული და უაღრესად ამეტყველებული და ამოქმედებული გუშაგი, ტყვედქმნილ ერს განთავისუფლებისათვის რომ უხმობდა; ადათჩვეულებათა, ზნეობისა, სულიერ ამაღლებისა და სარწმუნოების მქადაგებელთ — ის იყო ამ მცნებათა უზომო დამცველი და ამ მცნებათა შენახვასა და შემტკიცებულ აღიარებას უნერგავდა ქართველობას ვითარცა უპირველესსა და აუცილებელ პირობას მის ხანდაზმულ ისტორიულ ცხოვრების დაბრუნებისა და გაგრძობისათვის ...

მეეჭვება, რომ ზემოჩამოთვლილი თვისებებით განიზომებოდეს და განისაზღვრებოდეს ილიას სხივფენა მისი დროის საქართველოს ცხოვრების ჟამთა დენაში. ისევე, როგორც დანტესა, პეტრარკასა, სერვანტესა, გიოტესა, მიცკევიჩსა, ვიქტორ იუგოსა და სხვა წარჩინებულთა ზედა დღესაც არ შეწყვეტილა წერა და გამოკვლევა, დიდი ილიას შესწავლაცა და მართლგაგებაც მივალებულია მომავლისათვის.

ილია ჭავჭავაძის შემოქმედება — ლიტერატურული თუ პოლიტიკურ-პუბლიცისტური აწინდული არის უმთავრესათ, ეროვნულ შემეცნებისა და ღრმათჩაწვდენის მოტივებზე. გასაგებია: მისი დაბადების რამოდენიმე ათეული წლის წინათ საქართველოს სხვადასხვა ნაწილები მკვეთრათა და თავგანწირულად იბრძოდნენ რუსეთის მიერ მიტაცებულ სუვერენულ უფლებათა დაბრუნებისათვის, თუნდაც 1783 წლის ტრაქტატის მიმდევრობით, რომელიც, როგორც ცნობილია, ჰგულისხმობდა პროტექტორატს, რაიცა საერთაშორისო უფლების ნორმათა მიხედვით სულაც არ ართმევს მფართველობაში მიღებულ ერს პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ...

როგორც წინაწლებისა, ასევე უკანასკნელი 1832 წლის ცდა უცხო უღლის აყრისათვის უშედეგოდ ჩატარდა ... შეუძლებელი უნდა ყოფილიყო, რომ ახალგაზრდა ილიას პატრიოტულ ბუნების განცდას ასცდენოდნენ ახლო წარსულის ეროვნული ზმანებანი! წყვდიადით მოცულ წლებში, როცა რუსეთის ბატონობა მთელი სიმძიმით დაებჯინა ჩვენს მიწაწყალზე და სამარისებული სიჩუმე მხოლოდ დიმიტრი ყიფიანმა დაარღვია ექსარხოსი პავლეს მიერ საქართველოს დაწყევლისა გამო, — ილია ჭავჭავაძე თავისი ინტელექტურ სიძლიერით ჩაეწაფა ერის სანუკვარო საქმეს, იმავე დროს მიძინებულთა გამოსაფხიზებლად. „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით“ — ეს იყო გულამღვრეული გამოთქმა რუსეთის წინააღმდეგ, მასთანვე მიმართული ბურუსში გახვეულ ე. წ. ქართველ მოწინავე ფენებისადმი. ასეთი ეროვნული შეცნაურების ჰაზრები მრავლათ გაბნეულნი არიან ილიას შედევრულ ნაწარმოებში — პროზისა თუ პოეზიისა.

ეს მოსაგონებელი მიძღვნა მიზნათ არ ისახავს დიდი ილიას მიერ დატოვებულ ლიტერატურულსა და პუბლიცისტურ განძის განხილვას. ამ მარტივი ნაწერით ჩემი სურვილი იყო გაეცოცხლებინა ქართველთა მეხსიერებაში ის — ყოველი მხრით დაჯილდოვებული და ერის სამსახურში უმეტესად ამაღლებული — შესანიშნავი ქართველი, ურომლისოთაც მეცხრამეტე საუკუნე „ქართლის ბედისა“ უსიტყვო, უშინაარსო და ნიადაგ გამოფიტული იქნებოდა.

## სამი თარიღი

(დასაწყისი იხ. პირველ გვერდზე)

ქართველი ერის სამარადისო ხსოვნასა და — ნუ გაიკვირვებთ, რომ დაუმატო — თაყვანისმცემლობაში შესულ დიდ ილიას დღეს უაღრესად შემწუხრებულ მთელს ქართველობაში, მინიჭებული აქვს ერის ყოველმხრივ გამამდიდებელისა, აღმამაღლებელისა, გამამხნევებელისა და უკეთესი ხვედრის, იმედის მიმცემის სახელი. მისი სახელით სულდგმულობს და ამაყობს ყოველი ქართველი, ზოგნი ცხადათ, ამეტყველებულათ, გორორც შეგვშვენის ჩვენ — თავისუფალთ, ზოგნი იდუმალად, კრძალვით — მონობაში შეხუთვისა გამო . . .

პესიმისტობა და მიმომწულილველობა სიყრმიდანვე აშორებული ჰქონდა ილიას, იმისდამიუხედავათ, რომ ჩვენი ქვეყნის იმდროინდელი საერთო ვითარება არაერთ მოწინავე ქართველს უნუგეშობისაკენ ჰხრიდა. დანაღვლებულ სამშობლოს ილია იმედს არ აკარგვინებდა, სიმხნევისა და მძლეობისაკენ იწვევდა, უმჯობეს მომავალს აღუთქვამდა:

ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზე მოგიწყენია?
აწმყო თუ ვერა გწყალობს, მომავალი შენია! . .

იმ მიზნით, რომ ქართული პოლიტიკური ზრახვანი და მისწრაფებანი ყველასათვის გასაგებათა და ნათლად ჩამოეყალიბებინა და სწორ დონეზე დაეყენებინა, ილიამ დროის შესაფერათ მიიჩნია პოლიტიკური გაზეთის გამოცემა; გაჩნდა „ივერია“ — გაზეთი, რომლის მსგავსი არც წინათ, არც შემდგომ ჰრგებია ქართველ მკითხველს. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ „ივერიამ“ გამოზარდა და პოლიტიკურად განამზადა მთელი წყება იმ თაობისა, რომლებმაც შემდგომ ხელთიღო პრაქტიკული სამსახური ერისათვის და თავისი პოლიტიკური და სოციალი პროგრამა დააფუძნა ილიას სოფლხედვის მცნებათა ზედა.

ისახებოდა და იზრდებოდა უკვე საკმაოდ შეკავშირებული პოლიტიკური ერთეული, რომელიც გამოზომილ ჟამს შემტკიცებულათ მოევლინა ქართველი საზოგადოებას ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სახელით და რომლის ნაციონალი, სოციალი, პოლიტიკური და რელიგიურ-მორალური დებულებანი სავსებით გამომდინარეობდნენ ილიას თეორიულ და ფილოსოფიურ დასკვნებისაგან . . .

ჟამთა ტრიალში მოხდა ისე, რომ სამი თარიღი ამ წელიწადს ერთად უნდა გავიხსენოთ: ილიას დაბადების 100 წელი, მისი მოკვლის 50 და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დაარსების 40.

უბედო ვარსკვლავზე იშვა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. მან ვერც კი მოასწრო როგორც იტყვიან, ფრთების გაშლა, რომ იმავ რუსეთმა, მაშინ უკვე წითლად შეღებილმა, ჩააქრო ლამპარი ჩვენი თვითმყოფობისა! ოთხი წლის მანძილით შეეზიარა ერს მის ისტორიულად შეთვისებულსა და გარკვეული გზის მიმდევარი და გამძლოლი პარტია. მას წაერთვა პრაქტიკული მოქმედების საშუალება საკუთარ მიწაწყალზე, ხოლო მისგან ნაჩვენები და ამუშავებული ეროვნული მოძრაობა — ილიას მიერ ნაანდერძევი — დღესაც მძლეთამძლეობს სამშოლოსათვის თავდადებულ მებრძოლთა შორის.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთ სახელმოხვეჭილმა მეთაურმა და თეორეტიკოსმა, უდროოთ გარდაცვალებულმა ალ. ასათიანმა, გარდმოხვეწილობაში გამოცემულ თავის საპროგრამო, პარტიის წევრისათვის სახელმძღვანელო წიგნში „ძველი და ახალი მემკვიდრეობა“-ში ზედმიწევნითი ცოდნით შეგვასწავლა ეროვნული და დემოკრატიული მოძრაობის განვლილი ეტაპები, რომელთა დასაწყისი და განვითარება ობიექტიური განსჯით გადააბა ილიას მიერ შთაგონებულ იდეებს. ამრიგად, სრულ ჭეშმარიტებად უნდა მივითვალოთ, რომ დიდი ილია არის წინამორბედი და ამსახველი ყველა იმ იდეოლოგიურ დებულებების, რითაც ეროვნულ-დამოკრატიული პარტია ორგანიზაციულათ გამოვიდა პოლიტიკურ ასპარეზზე.

დადნა პარტიის ხელმძღვანელთა რიცხვი. მადლობა განგებას, რომ ჩვენ შორის გამოზრდილნი და იმთავითვე შეგუებულნი ილიას მიერ ნაჩვენებსა და ნაანდერძევ ეროვნულ იდეებს, ამჟამად უფრო ნიჭიერათ და წასაბაძი მხნეობით განაგრძობენ პარტიის გარდმოცემათა ჩანერგვას ქართველ ხალხში . . .

როცა საქართველოს მტრებმა, ერის გამცემლებმა სამშობლოს ცას მოსწყვიტეს ყველაზე უბრწყინვალესი ვარსკვლავი. ხალხმა გადასხვაფერებით აატირა ილიას გულისამტოკებელი ელეგიური ლექსი: „ტყემ მოისხა ფოთოლი . . .“ უკანასკნელი ტაეპი: „მამულო საყვარელო შენ როსღა აჰყვავდები“ . . . ასე შესცვალეს გლოვამოსილებმა: „მამულის მოღალატევ რად მოგვიკალ ილია“

ვინ იყვნენ ის თავხედნი, ილიაზე რომ გაბედეს ხელშეხება? 1905 წელს სტოკჰოლმის ყრილობაზე ორათ დაიყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია: მენშევიკურათა (პლეხანოვის ჯგუფი) და ბოლშევიკურათ (ლენინის ჯგუფი). ეს უკანასკნელი თავისებურად მიუდგა მარს-ენგელსის თეორიას: სიმძიმის ცენტრი ეკონომიკიდან პოლიტიკაში გადაიტანა და პარტიის რევოლუციური მიზნების მისაღწევად ძალდატანებისა და ტერორის ამოქმედება ირჩია. აი ამ ფრაქციის ქართველი წევრები (და მეორე ფრაქციის ერთი ნაწილიც) წაქეზებულნი რევოლუციის იმ ლოზუნგებით, რომ რევოლუციის გაღრმავებისა და გამარჯვებისათვის აუცილებელი არის ინდივიდუალური ტერორი, ვინაიდან პიროვნების როლი ისტორიაში ხშირად გადამწყვეტია, — შეუდგნენ ჩვენში ამ მხეცური დავალების განაღდებას. მათ მიერ ათვალისწინებულ პიროვნებათა შორის პირველ რიგში, საგულისხმოა, უნდა ჩარიცხულიყო ილია. გაიხსენეთ ფილიპე მახარაძის და პეტრე გელეიშვილის რეგვენული წერილები მათ პრესაში, ან მათი ყბედური ჩმახვა მიტინგებზე, ან ებრვე მსგავსი თავდასხმა ილიაზე ედთადერთ ზრახვით, რომ რუსული სოციალიზმის კარის მასხარებს ილია საქვეყნოდ გამოეცხადებინათ გლეხთა სისხლის მწოვლათ . . . არ გასულა სულ მცირე ხანი და ილია თავისი მეუღლითურთ ეტლით მიმავალი საგურამოსაკენ მათმა დაქირავებულმა აგენტებმა განგმირეს . . .

იმ წლებში ილია ჭავჭავაძე უკვე იყო იმპერიის სახელმწიფო საბჭოს წევრი, მუნ წარზგავნილი ქართველ თავად-აზნაურების მიერ. ამ აქტიდ დამთავრებულათ ცხადყოფილიქმნა ილიას სასარგებლოდ ის დავაც, მის და ივანე მაჩაბელს შორის რომ გაუგებრობით ამტყდარი იყო და ქართველებს ურთიერთშორის ჰთიშავდა. გარნა ამისი განხილვა ამ წერილს არ ეგუება ისევე, როგორც ილიას გასაოცარი ნიჭით აღსავსე მოღვაწეობა სათავადაზნაურო საკრებულოსა და ამავე წოდების ბანკში . . .

ორიოდე შენიშვნით დავამთავრებ მოგონებათა ამშლელ ამ წერილს: ილიას ნახვა მეღირსა ერთხელ; 12 წლისა ვიყავი, როცა მასთან მიმიყვანა დიმიტრი ჯანაშვილმა, აკადემიკოსმა მღვდელმა, ისტორიკოს მოსე ჯანაშვილის ბიძამ, ილიას მეგობარმა და „ივერიის“ თანამშრომელმა. მოწიწებით, როგორც საკურთხეველში, შევდგი ფეხი ელისაბედის ქუჩაზე კოხტა, თეთრად შეღებილ ერთსართულიან სახლში. ილია ჭავჭავაძეს ნახვა?! ისე დავიბენი, რომ ხელზე ვემთხვიე. „ბიჭიკო, მღვდელი ხომ არა ვარ, რომ ხელზე მკოცნი?“ „აი მოვიყვანე შენთან ეს მოზარდი — მიუგო დიმიტრიმ, — რომელიც მუდამ თავიდან ბოლომდის მიკითხავს „ივერიას“ (მამა დიმიტრის მხედველობა სუსტი ჰქონდა) და შენი „დამაკვირდი“ (ხშირად ამ სათაურით ილია ათავსებდა მოკლე მორალურ-ფილოსოფიურ აფორიზმებს) მთლიანად გაზეპირებული აქვს“. ადგა და გადამკოცნა. აცრემლებული მივატოვე მისი ბინა . . .

† **რაფიელ ინგილო**

## გმირული ეპოპეა

(გაგრძელება. იხ. „ქ. აზრი“ № 84)

ასევე მოუვიდა მტრის მესამე რიგსაც, ხოლო მეოთხე რიგი ამის დანახვაზე შეკრთა და ადგილიდან ფეხი ვერ მოიცვალა. ქართველთა ლაშქარი კი მოხერხებულ ადგილზე იყო განლაგებული. ქართველები მაღლა სერებზე იდგნენ და მოწინააღმდეგეს სახეში აყრიდნენ ტყვიას. ოსმალო-ლეკთა სარდლობამ გადასწყვიტა უკან დაეხია თავისი მხედრიონი, გაასხა იგი ხიდზე, ლამობდა მტკვრის ნაპირი ჩაევლო, ფონი ენახა და ზურგიდან დაეცხო ქართველევისათვის. მტრის ჯარი ღელე-ღელე წავიდა. ერეკლეც ამას ელოდა. მან აშალა ჯარი და მაღლობებიდან თოფის სროლით ღელეში ჩაეშვა. ეხლა ომი მეტად გამწვავდა. გაჩაღდა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ერთი მხრივ ორიათასი ქართველი მხედარი, ხოლო მეორეს მხრივ ათი ათასი ოსმალო-ლეკი. მტრის გაერთიანებულ ლაშქარს უცბად გამოეყო ათასი ცხენოსანი ლეკი და გაექანა ქართული ლაშქრის წინააღმდეგ. ლეკის ჯარს წინ მოუძღოდა კარგ ბედაურზე მჯდომი უშიშარი ვაჟკაცი კოხტა ბელადი. მის წინ ვაჟკაცური შემართებით გაექანა მეფე ერეკლე. მეფეს ხმალამოწვდილი მისევდნენ მთის სახელოვანი შვილები — თუშ-ფშავ-ხევსურები. ერეკლემ ხელის ერთის მოქნევით საიქიოს გა-

—„ჰკა მაგას!“ — გაისმა მეფის შეძახილი. ქართველი ცხენოსანი მხედრები ლომებივით ეკვეთნენ მტერს და დაუწყეს უმოწყალო ჩეხვა. ბრძოლის ველზე დაეცა სამი ათასი მტრის მხედარი, დანარჩენებმა თავი ადიდებულ მტკვარს მისცეს. ქართველთა ლაშქარს ბრძოლის ველზე დიდი ნადავლი დარჩა. უთვალავი სამხედრო საჭურველი, ზარბაზნები, თვალმარგალიტი, ცხენები, ჭაპანმზიდები და სხვა.

ამ ომში ქართველებს ზარალი არ მოსვლიათ. ამის შემდეგ მეფეს გზა გაეხსნა ახალციხისაკენ, მაგრამ ტოტლებენის ღალატის გამო ერეკლე დაუყონებლივ ტფილისისაკენ გაეშურა. ამას მოითხოვდა აუცილებლობა. ტოტლებენის ვერაგობით საქართველოს სამეფომ დაჰკარგა ახალციხე და მისი მხარე, რომლის განთავისუფლება ოსმალო-ლეკებისაგან არც ისე ძნელი იყო. დიდმა სარდალმა ერეკლემ იგი თავის დროზე მოგეგმა, მაგრამ ავანტურისტმა და მტრულად განწყობილმა გენერალმა ტოტლებენმა მთელი ეს სამხედრო სტრატეგია ჩაშალა.

1774 წელს დამთავრდა რუსეთ-ოსმალეთის ომი და ხელი მოაწერეს ქუჩუკ-ქაინარჯინის საზავო ხელშეკრულებას.

„ქუჩუკ-ქაინარჯინის ხელშეკრულებას არავითარი ცვლილება არ მოუხდენია არც ტერიტორიალურად, არც უფლების თვალსაზრისით ერეკლე მეორემ ვერ მიაღწია თევის სანუკვარ მიზანს, რომ საქართველოსათვის შემოერთებია მესხეთი.

ამგვარად, რუსეთ-ოსმალეთის ომმა ერეკლეს არ მისცა არავითარი ხელსაყრელი შედეგები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ერეკლეს პოპულარობის ზრდას რუსეთსა და დასავლეთ ევროპაში“.

რუსეთმა არ შეასრულა თავისი ვალდებულება. იგი ცბიერად მოექცა ჩვენს რაინდ მეფეს. მან ვერ შეიგნო ერეკლეს რაინდობა და მისი რაინდული სული. მან საქართველოში გამოგზავნა სწორედ ცბიერი და სისხლის სამართლის დანაშაულობრივი ქმედობის ადამიანი, რომელმაც გადამწყვეტ მომენტში უღალატა მოკავშირეს და თავისი ჯარი ქურდულად უკან გააბრუნა. ამით მან როგორც თავში აღვნიშნეთ ქართული ლაქშარი მიატოვა მრავალრიცხოვან მტრის წინაშე. ამასაც არ დასჯერდა ეს ვერაგი და სწორედ იმ დროს, როცა მეფე ერეკლეს, ასპინძის ომში გამარჯვების შემდეგ ტრიუმფიალური მსვლელობით შეეძლო დაძრულიყო ახალციხისაკენ, მაშინ იგი მეფისა და ქართული სამეფოს მტრებთან კავშირს აბამდა და ქვეყანას ასუსტებდა. მეფე ერეკლე იძულებული შეიქმნა უკან გამობრუნებულიყო ტფილისისაკენ..

ამბობენ, რომ ტოტლებენი ავანტურისტული ტიპის ადამიანი იყოვო და ბნელის წარსულის მქონეო, ეს სავსებით მართალია. აი ამისი უტყუარი საბუთები: „ტოტლებენი იყო განთქმული ავანტურისტი და კრიმინალი. ის ქრთამებისა და ათასგვარ ბოროტ-მოქმედების გამო, არაერთხელ ყოფილა მიცემული სასამართლოში . . . 1772 წელს აპრილის 26-ს სასამართლომ სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა. მაგრამ ამ დროს პეტრე 3-ს სიკვდილის შემდეგ, ეს დადგენილება სისრულეში აღარ იქნა მოყვანილი და 31 მარტს 1763 წელს ეკატერინე 2-ემ ის გაანთავისუფლა და განდევნა რუსეთის საზღვრებიდან. 5 ივნისს 1769 წელს, ეკატერინე 2-რე იღებს ტოტლებენის თხოვნას, მას აბრუნებს რუსეთში და დანაშაულსაც აპატიებს. შემდეგ კი, როგორც ვხედავთ, ასეთი დიდი ექსპედიციის სარდლადაც ინიშნება და მიდის საქართველოში“.

ამავე დროს თითქოს გენერალი ტოტლებენი საქართველოში მოქმედებდა დამოუკიდებლად, არ არის მართალი. მას ჰქონდა თავისი მთავრობისაგან გარკვეული ინსტრუქცია დაესუსტებინა ქართული სამეფო და შიგ არევდარევა შეეტანა. მას საგანგებო დავალება ჰქონდა, მაგრამ ვერ გაამართლა მისი მთავრობის იმედები და იძულებული გახდნენ უკან გაეწვიათ და ქართველებისათვის გარეგნულად ეჩვენებინათ, რომ ყველაფერ ამაში დამნაშავეა ტოტლებენიო. ეს იყო, რა თქმა უნდა, „პონტოელ პილატესავით“ ხელის დაბანა ,რაც სჩვევია რუსეთის იმპერიის მთავრობას საქართველოს მიმართ, მოკიდებული მასთან ურთიერთობის დაჭერისა.

„ცუდი აღმასრულებელი აღმოჩნდა ტოტლებენი თავისი მისიისა, მაგრამ ფაქტი სრულებითაც ვერ ფარავს რუსეთის ზრახვებს საქართველოს შესახებ“.

როგორც თავიდან აღვნიშნეთ, სოლომონსა და ერეკლეს დიდი იმედები ჰქონდათ რუსეთის იმპერიისა. აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ იაკობ გოგებაშვილის „ასპინძის ომში“: „ერეკლესა და სოლომონს დიდი იმედი ჰქონდათ, რომ სამშვიდობო ტრაქტატის შეკვრის დროს რუსეთსა და ოსმალეთს შორის მათ დაუბრუნდელოდათ ის კუთხეები საქართველოსი, რომელნიც ოსმალეთს ეჭირა. საუბედუროდ ეს იმედი მათ არ აუცხადდათ. ოსმალეთმა შეინარჩუნა წინად დაპრობილი ქვეყნები . . . სამაგიეროდ რუსეთმა ბევრი რამ მიიღო ოსმალეთისაგან და თავისი საზღვრები გააგანიერა სამხრეთის მხრივ“.

2

ასპინძის გმირული ბრძოლების ეპოპეას შეეხო ჩვენი მწერლობა. მას შეეხო აგრეთვე ჩვენი სახელმოხვეჭილი პოეტი ბესიკი. მან მთელი პოემა უძღვნა ამ ეროვნულ გმირულ ეპოპეას. მაგრამ ომის აღწერისას შეგნებულად გვერდს უვლის მეფე ერეკლეს, რადგან იგი მას სიკვდილამდის სძულდა. პოემაში ბესიკი აქებს ქართული ლაშქრის მართლაცდა სახელოვან სარდალს დავით ორბელიანს. პოეტს დიდებულად აქვს აღწერილი სარდლის ვაჟკაცობა:

„მაშინ გულს დაჰკარ მჯილითა, მიწანი შესძრენ რყევითა,
ცხენმა შეგატყო შექშენა, შემზადა ტანი ნძრევითა,
თვალნი ნაღვერცხლად შეგექმნეს, აშეთდი სისხლ მორევითა.
ცხვირისა ნესტვთა მოჰქროდენ ქარნი ქვეყნისა ნგრევითა“.

ბესიკმა ამ ლექსით გამოხატა თავისი ღრმა პატრიოტული აღტყინება ქართველი მხედრების სამამაცო საქმეებით. მან ძლიერი მხატვრული სიტყვით აღებეჭდა მომხდურ ვერაგ მტერზე შესანიშნავი გამარჯვების საერთო ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ქართველობისათვის. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ პოეტმა მაინც თავი ვერ დააღწია ერთგვარ ცალმხრივობასა და ტენდენციურობას“.

აი რას ამბობს დიდი ქართველი მეცნიერ-ისტორიკოსი ივანე ჯავახიშვილი: „მეფეები თვით იყვნენ სახელმწიფოს ჯარის წინამძღოლად და მთავარსარდლად, ომშიც თვით მიდიოდნენ და ბრძოლასაც თვითონ უწევდნენ ხელმძღვანელობას“.

ასპინძის გმირული ომის ბრძოლები თავის მხატვრულ სიტყვაში ამოაქანდაკა ქალთული მაღალი მთის მომღერალმა ვაჟამ თავის ლექსში „ერეკლეს სიზმარი“. იგი ასპინძის გმირულ ეპოპეას უძღვნის:

„ამ დროს აღმოჩნდა აღმოსავლეთით
შვენება ცისა — დილის ცისკარი,
დაბანაკებულს ქართვლისა ჯარსა
ესროლა სხივი, როგორც ისარი.
ცისკრის ამოსვლა ერეკლეს წესით
ჯარის აშლისა ნიშანი არის.
გასცა ბრძანება . . . აძრახდა ბუკი,
ლაშქრის აყრასა მოსთქვამს ნაღარა.
წამოიშალა ერთ წამს ლაშქარი,
აასხეს ცხენებს ალვირ-ავშარა„
აჰკიდეს ჯორებს და აქლემებსა
დავლად კოხტამა რაც ჩააბარა,
თავი შეაკლა მეფე ერეკლეს
და ქართველები მით გაახარა.

---

მოჰყავთ ტყვეები, ლეკ-ოსმალისა,
ქართველმა ჯარმა რაც ასაპყარა.
დარაზმდა ჯარი, ალმებს ასწიეს,
ბაირახტრები დაუდგნენ წინა,
უხარის ყველას: კმაყოფილია,
გამარჯვებული ბრუნდება შინა,
წინ მიუძღვებათ მეფე ერეკლე“.

ქართველმა ლაშქარმა, მეფე ერეკლეს ხელმძღვანელობით, ბრწყინვალედ გაიმარჯვა ოსმალო-ლეკთა ურდოზე ასპინძის ომში. ამით მეფე ერეკლემ სახელი მოუხვეჭა თავის ქვეყანას, შარავანდედით შემოსა ქართველი ერის ისტორია, როგორც დიდმა პიროვნებამ. ხოლო ისტორიას დიდი პიროვნებები ჰქმნიან. სახელოვანმა პიროვნებებმა შემოსეს უკვდავების გვირგვინით თავიანთი ერის დიდება და სახელი. სწორედ სახელოვანმა ბაგრატიონებმა შეუქმნეს საქართველოს დიდი ერის სახელი და ამ სახელოვაეი პლეადის უკვდავი გმირია, სახელმოხვეჭილი ერეკლე მეორე,მეფე ქართველთა.

ჩემი პატარა ნარკვევი ასპინძის ომის გმირულ ეპოპეის 200 წლისთავისადმი მიძღვნილი, თუ რამედ ვარგა, მინდა დავამთავრო დიდი ილიას სიტყვებით: „თვითეული ადამიანის საფლავის ქვეშეო, ამბობს გერმანიის სახელგანთქმული პოეტი ჰეინე, — დამარხულია მთელის ქვეყნიერების ისტორიაო. თუ ეს ითქმის ყველა ადამიანზე, მაშ უფრო მართალია თ. გ. ორბელიანი, რომ მეფე ერეკლეზე სთქვა: „დიდება საქართველოსი მასთან მარხია სამარესაო“.

ხოლო უფრო ზედმიწევნით დაგვიხატა დიდ ბუნოვანობა მეფე ერეკლესი თვით ქართველმა ერმა და ორ-სამ სიტყვაში გამონასკვა მთელი ღვაწლ-მოსილობა გვირგვინოსან გმირისა, როცა იგრძნო, რომ მეფე ერეკლე დაჰკარგა და „მამული ველარ იხილავს, ერეკლეს ხმალსა მღელვარეს“.

**მინდია ლაშაური**

---

### „ქართული არზის“ რედაქციას!

გთხოვთ ნება დამრთოდ, თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადო შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ყოველ ქართველს იმ დიდი თანაგრძნობისათვის, რომელიც მათ მაგრძნობინეს მამა ჩემის, მაიორ ალ. ჯინჭარაძეს გარდაცვალების გამო.

**პატივისცემით, ქეთევან ჯინჭარაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წერილი რედაქციის მიმართ

ღრმად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი გაზეთის უახლოეს ნომერში ადგილი დაუთმოთ ჩემს ქვემორე განცხადებას, რისთვისაც წინასწარ მადლობას მოგახსენებთ.

**
*

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" 1970 წლის აგვისტოს 7-ის ნომერში მოთავსებულია ქართველი ცნობილი მწერლის დემნა შენგელაიას ვრცელი სტატია: „იძულებითი პასუხი", სადაც ის თავს მესხმის სავსებით დაუმსახურებლად, იმ ჩემი მასალის გამო, რაც ეხებოდა ბრძოლას ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდისათვის.

დემნა შენგელაიას „იძულებით პასუხს", მსურს გამოვეპასუხო თავისუფალი პასუხით, რაც მიღებულია დასავლეთში.

არაერთხელ გულდასმით წავიკითხე დემნა შენგელაიას სტატია გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" მიმდინარე წლის აგვისტოს 7-ის ნომერში და მაინც ვერ გამიგია რას მედავება ეს პატივცემული მწერალი, ასე მკვახე კილოთი, მისივე ენით რომ ვთქვად?

დემნა შენგელაია წერს: „აბა რა უნდა ჰქონდეს კაცს საკამათო ისეთ პირთან, რომელსაც თვალსაფარად რაღაც საეჭვო ფონდებიდან მიღებული კუპიურები გამოუყენებია"-ო.

სასაცილოა ღმერთმანი! რომელ საეჭვო ფონდებიდან მიღებულ კუპიურებზე ლაპარაკობს მწერალი, როცა ჩემი მასალა აგებული იყო „ლიტერატურული საქართველოს" 1970 წლის 5 ივნისის ნომეჟში მოთავსებული საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილების მიხედვით, რომელიც ეხებოდა თანამდროვე ქართვული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის ღონისძიებას.

მაშასადამე, დემნა შენდელაიას კონცეპციით საბჭოთა საქართველოს დადგენილება რაღაც საეჭვო კუპიურები ყოფილა და მეტი არაფერი.

წარმოიდგინეთ თქვენ, პატივცემულო მწერალო, რომ მე ეს დადგენილება საეჭვო კუპიურებად არ მიმაჩნია, არამედ დროულ ღონისძიებად. აი რას ვამბობდი მე ამის შესახებ: „ენის დამახინჯებაზე მთავრობას ყურადღება არ მიუქცევია დღემდე. მხოლოდ დღეს, საბჭოთა ხელისუფლების საქართველოში არსებობის 50-თი წლის თავზე, როგორც იქნა გამოვიდა საბჭოთა საქართველოს მინისტრთა საბჭოს დადგენილება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის თაობაზე . . . ამ დადგენილებაში მთელი რიგი, და მართლაც მეტად საინტერესო ზომებია მიღებული ქართული სალიტერატურო ენის ნორმების დანერგვის შესახებ".

ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების ფაქტებს ადგილი რომ არ ჰქონოდა, ზომების მიღებაც ხომ არ დასჭირდებოდა მთავრობას.

დემნა შენგელაია ამას არ სჯერდება და უნდა ჩემს წინაალმდეგ, თუ შეიძლება ასე ითქვას, „აამხედროს ჭეშმარიტი მემულიშვილები" და სწერს: „არის ერთი მთავარი მიზეზი, რომელსაც ყოველმა ჭეშმარიტმა მამულიშვილმა ანგარიში უნდა გაუწიოს და იძულებულია ხმა ამოიღოს, როდესაც უდიერად ჩამოაგდებენ სიტყვას შენს საყვარელ დედაენაზე, შენს კულტურაზე, ენაზე, რომლისთვისაც შენ როგორც მწერალს, ათეული წლები შეგიწირავს, რისთვისაც შენ ამდენი გიბრძოლია"-ო და სხვ.

დიაღ, სწორედ ეს აღვნიშნე მეც. აი რა ვთქვი: „ქართული სალიტერატურო ენის დამახინჯების წინაალმდეგ, მედგრად გამოდიოდნენ ჩვენი მწერლები: კონსტანტინე გამსახურდია, ალექსანდრე შანშიაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე კაპანელი, ტიციან ტაბიძე, ალექსანდრე აბაშელი, თქვენც პირადათ და რამდენ ერთი ჩამოვთვალო? შემდეგ დემნა შენგელაია წერს: „აი ახლახანს შედგა თბილისის საქალაქო საბჭოს მშრომელთა დეპუტატების სხდომა ამავე საკითხის გამო, რომლის ანგარიშიც გაზეთებში გამოცხადებული იყო შემდეგი სათაურით: „დედაენის სიწმინდის დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშნელობის საქმეა", და განაგრძობს თავის სტატიას: „ზედმეტი არ იქნება ვიცოდეთ, ხშირად მოგისმენიათ თუ არა თქვენ, ბნტონო ლორია, ასეთი რამ ხანდ, დასავლეთში?"

დიაღ, როგორ არ მოგვისმენია პატივცემულო დ. შენგელაიავ, როგორ არა! მრავალი სტატიებიც წაგვიკითხავს ამის გარშემო, მაგალითად: გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 1970 წლის 13 მარტის ნომერში სულხან ქეთელკურისა. „მივხედოთ ერის საუნჯეს" სტატია ალექსანდრე ბეგაშვილისა გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 10 ივლისის ნომერში. სტატია ზურაბ სარჯველაძისა: „ენის ნორმები და ცოცხალი მეტყველება", გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 1970 წ. 24 ივლისის ნომერში. შემდეგ გივი გაჩეჩილაძის სტატია: „გადაუდებელი ამოცანა", გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს" 31 ივლისის ნომერში და კიდევ მრავალი წამიკითხავს სწორედ აქ, დასავლეთში, მაგრამ ყველასი ერთად თავმოყრა ძალიან შორს წაგვიყვანს.

მაშასადამე, პატივცემულო დემნა შენგელაიავ, როგორც ვხედავთ მე არ ვეყრდნობი „რაღაც საეჭვო ფონდებს" როგორც თქვენ წერთ.

თქვენი ეს სტატია, რომ მართლაც არა მკითხე პირის მიერ იყოს დაწერილი, არც იქნებოდა პასუხის ღირსი, მაგრამ იგი დაწერილია ცნობილი მწერლის და ამავე დროს, როგორც თქვენ თვითონ ამბობთ, მეცნიერებათა აკადემიკოსის მიერ? დემნა შენგელაიამ ჩემზე უკეთ უწყის, რომ ასეთ პირს მეტი მოეთხოვება. ხოლო დემნა შენგელაიას სტატია სამწუხაროდ, მოკლებულია აკადემიური წერის სტილს.

აბა რა მოსატანია ეს რასაც დემნა შენგელაია წერს: „თუმცა, კაცმა რომ თქვას რა მშობლიური ენა უნდა გააჩნდეს იმას, ვისაც სამშობლო არ გააჩნია"-ო.

ვაი უბედურებას? მე აბა რა მათი ბრწყინვალე და დიდ სახელებთან მოსახსენებელი ვარ, მაგრამ სამშობლო არ გააჩნდათ ჩვენს დიდებულ სახელოვან წინაპრებს, მეფე ვახტანგ VI და მის კოლონიას, მაგრამ ენა ხომ არ დაუკარგავთ" და განა ცოტა სამსახური გაუწიეს მშობლიურ კულტურას?

ქართული ენა ჩემი მშობლიური ენაა, იგი ქართული ეროვნული მეობის დუღაბია„ და რა უთხრა მე იმ ქართველს, ვისაც დემნა შენგელაიაზე ნაკლებად უყვარდეს თავისი მშობლიური ენა.

შემდგომ დემნა შენგელაია შესდგომია მეტად თავსატეხ საქმეს და „მიუკვლევია", როგორც თვითონ წერს, ვინმე ილია კუჭუხიძისთვის და აღნიშნავს: „ეს კუჭუხიძე ერთ დროს თბილისში, რომელიღაც სასწავლებლის პედაგოგი ყოფილა, შემდეგ ტყვედ ჩავარდნილა, „ქართულ ეროვნულ ლეგიონში" ჩაწერილა. ვინ იცის იქნებ ამ ლეგიონის სამხედრო გაზეთ „ქართველ ერში" თანამშრომლობა ნებას აძლევს იმსჯელოს ეგრე ავტორიტეტულად ენის სისუფთავეზე"-ო?

ქართულ ლეგიონურ მოძრაობაზე არ გამოვედავებით პატივცემულ მწერალს. ამი შესახებ გავა ჟამი, დადგება დრო და ოდესღაც პირუთვნელი ისტორიკოსი იტყვის თავის სიტყვას და მასაც, ალბად, თავის კუთვნილ ადგილს მიაკუთვნებს. ხოლო თქვენს მიერ საძულველ ილია კუჭუხიძეს ჟურნალ „ქართველი ერსა" და გაზეთ „საქართველოს" დაარსებამდე, როგორც პედაგოგს, სისტემატიურად უხდებოდა სკოლაში თუ სკოლის გარედ დაცვა ამ ენის სიწმინდისა. ქართველი ენის სიწმინდისათვის მას არავითარი „ავტორიტეტული" განცხადება არ გაუკეთებია არსად. ხოლო რადგან „ქართველ ერში" თანამშრომლობაზე ბრალს დებს მას მწერალი შენგელაია, უნდა მოვახსენო მწერალს შემდეგი: „ქართველი ერის იმ ნომერში ილია კუჭუხიძე წერდა საუკეთესო ქართველი ინტელიგენციის განადგურებაზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1937 წელს, როცა საქართველოს მაშინდელ პოლიტიკურ ცხოვრებას სათავეში ედგა ლავრენტი ბერია. უკაცრავად არ ვიყო და თქვენ კი მაშინ ლავრენტი ბერიას უძღვნიდით და ოდებს თხზავდით მის სადიდებლად, რაც მოცემულია თქვენს „მერხეულაში".

როცა თქვენ, პატივცემულო მწერალო და აკადემიკოსო ქება-დიდებას უძღვნიდით ასეთ ადამიანს, რომლის დროსაც დაიღუპნენ ჩვენი ქვეყნის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, ერთხელ მაინც არ დაფიქრებულხართ ამაზე? ერთხელ მაინც არ გამოლანდნენ აჩრდილები შენი წამებული მეგობრებისა და თანამოკალმეებისა: ტიციან ტაბიძესი, პაოლო იაშვილის, მიხეილ ჯავახიშვილის, ალექსანდრე ახმეტელის, ნიკოლო მიწიშვილისა. შემდეგ დიდი მეცნიერის, სახელგანთქმულ ბიზანტოლოგის გრიგოლ წერეთლისა და რამდენ ერთი ჩამოვთვალო?

განა სწორედ მაშინ არ დაიღუპნენ თვით საუკეთესო კომუნისტ-ინტელიგანტებიც, მარია ორახელაშვილი, ა. მიქაძე, მამია ორახელაშვილი, მალაქია ტოროშელიძე, ალექსანდრე ერქომაიშვილი, პეტრე სამსონიძე და სხვები?

მიუხედავათ თქვენი მუქარისა, ყოველ ქართველს, ინტელიგენტია ის თუ გლეხი, მუშაა თუ მოსამსახურე, მოწაფეა თუ სტუდენტი, მათ შორის ლორიას, ილია კუჭუხიძეს და სხვებს, სამშობლოშია ის თუ უსამშობლოა, (აქ თქვენი საყვარელი ტერმინი რომ ვიხმაროთ) სრული უფლება აქვს იბრძოლოს მშობლიური ენის დამახინჯების წინაალმდეგ. რადგან ეს თვითაული ქართველი ადამიანის მოვალეობაა, ისე როგორც სხვა ერის ადამიანისა, იზრუნოს თავის ენის შესახებ. ყოველ შემთხვევაში ენის დაცვა პირად მონოპოლიას არ წარმოადგენს პატივცემულო მწერალო.

პატივცემულო დემნა შენგელაიავ! რადგან სიტყვამ მოიტანა მინდა მოგახსენოთ შემდეგი: ალბად წაკითხული გექნებათ ჟურნალ „მნათობის" 1970 წლის ივნისის მე-6 ნომრის 149 გვერდზე მოთავსებული შოთა რევიშვილის კრიტიკული სტატია სათაურით: „კინდლერის" ახალი ტომები. ამ სტატიაში ნაჩვენები და ცნობები „ქილილა და დამანაზე", „გაბზარულ გულზე", „კალმასობაზე", „ქართლის ცხოვრებაზე", „ქეთევანიანზე" და სხვ. ამ სტატიების ავტორი გახლავთ სწორედ ის ილია კუჭუხიძე, რომლის ხსენება ასეთ საშინელ „ზიზღს" იწვევს პირადათ თქვენში. ამ გადახვეწილობაში, ილია კუჭუხიძე ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს ქართველი მწერლებისა და ქართული ძეგლების გაცნობის და პოპულარობის საქმეში გერმანულ ენაზე მოლაპარაკე ქვეყნებში და მას შეძლებისდაგვარად აკეთებს. სიტყვამ მოიტანა და მას გეგმაში შეტანილი აქვს აგრეთვე დემნა შენგელაიას „სანავარდო".

ეხლა ისევ ჩემზე: რა თქმა უნდა მე, როგორც ჩვენში იტყვიან ხოლმე, ჩვეულებრივ მომაკვდავ ადამიანს, შეუცდომლობის პრეტენზია არა მაქვს, მაგრამ ვფიქრობ, როგორც ქართველს, უფლება მაქვს ჩემი აზრი გამოვთქვა ქართული ენის სიწმინდის დაცვის საქმეში.

„ეს ჩვენი საქმეა" (მხოლოდ დემნა შენგელაიასი?) დიდი რიხით აცხადებს მწერალი, მაგრამ ამ შემთხვევაში უფრო ობიექტურად მოაზროვნე მოღვაწეები სულ სხვა აზრისანი არიან. აი მაგალითად, რას სწერს თავის სტატიაში „გადაუდებელი ამოცანა" გიორგი გაჩეჩილაძე: (იხ. „ლიტერატურული საქართველო", 1970 წლის 31 ივლისის ნომერი) „ენა საერთო — სახალხო კუთვნილებაა, ის არ წარმოადგენს არც ლიტერატორთა და არც სხვა პროფესიის ადამიანთა საკუთრებას და პრივილეგიას".

აი ვაცხონე მამაშენი! იტყვიან ხოლმე ჩვენში, როცა კაცი სიმართლეს იტყვის.

ალეკო ლორია

## ქსნის საერისთავო და მისი უკანასკნელი ერისთავები

(ისტორიული ნარკვევი)

მეჩვიდმეტე საუკუნეში და მეთვრამეტეს პირველ ნახევარში საქართველოს და განსაკუთრებით ქართლ-კახეთის ბედის ტრიალში ქსნის და არაგვის საერისთავოებს ხშირად გარდამწყვეტი როლი უთამაშიათ. ამას ხელს უწყობდა ამ საერისთავოების განსაკუთრებული გეოგრაფიული და სტრატეგიული მდებარეობა და ამასთან მძიმე მდგომარეობა დანაწილებულ და დაუძლურებულ საქართველოსი, რომელსაც ყოველ მხრიდან აწვებოდა ფანატიკური ძალები სპარსეთის და ოსმალეთის და მათ მიერ დაქირავებულ ლეკებისა. ბოლოს ამას დაერთო ახალი და უფრო სახიფათო ძალა ჩრდილოეთისა: სწორედ ამ ხანებში მოიწევდა რუსეთის იმპერიის ძალა კავკასიაზე გასაბატონებლად და აქედან სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო გზების გასაკაფავად. მოსკოვიც ქართლ-კახეთის მეფეთა მიპატიჟებას, ქრისტიან ივერიის დახმარებისათვის რომ უგზავნიდნენ, საკუთარ ჰეგემონიისათვის მოხერხებულად იყენებდა.

იმ დროში ქსნისა და არაგვის საერისთავოთა ხელში იყო საქართველოს ბჭეების გასაღები და კერძოდ იმ „საკომუნაკაციო ხაზისა", ურომლისოდაც რუსეთი საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებდა.

ერისთავთა ამ მიუვალ ადგილებში აღმართული იყო ფრიად გამაგრებულ ციხე-კოშკების მთლიანი სისტემა. განსაკუთრებით ქსნის საერისთავო იყო ამ ციხეთა სისტემით მოფენილი და შემოსალტული. თუ ყველა ამას დაუმატებთ საერისთავოების პატრონების ზვიად, ურჩ და უტეხ ბუნებას და ხასიათს, ამ გაუვალ ხევებში, კოშკებში და კლდეებში რომ იჭედებოდა, ჩვენთვის გასაგები გახდება ის სისხლიანი, ხანგრძლივი ბრძოლები, რომელთაც ქართლ-კახეთის მეფეები ხან თვითონ და ხან სპარს.-ოსმალ. დახმარებით, ქსნის და არაგვის ერისთავების დასამორჩილებლად აწარმოებდნენ. ყველა ამას ზედ ერთოდა თავაშვებული თარეში ლეკების ძლიერი რაზმებისა, რომელთაც ხან ერთი და ხან მეორე მხარე იყენებდა და მით ქვეყანას აოხრებდა.

საქართველოს პოლიტიკა მაშინ უმთავრესად, თურქეთ-სპარსეთის წინაალმდეგობაზე თამაში უნდა ყოფილიყო. ქვეყნის გადარჩენისათვის ქართლის, თუ კახეთის მეფეები ხან სუნიტებად ხდებოდნენ, ხან შიიტებათ და ან თვით ეახლებოდნენ ყაენს, ან სულთანს, ან საყვარელ შვილებს და მემკვიდრეებს მძევლებად უგზავნიდნენ. მძევლობის „ინსტიტუტი" ქართულ დამოუკიდებელ პოლიტიკას წელში სწყვეტდა. მიუხედავათ ამისა, საქართველო მაინც დიდის მოხერხებით, მოთმინებით და მოქნილობით ეწეოდა სახიფათო „თამაშს" ორ ტირანს შორის„ ამავე დროს ის საიდუმლო ქსელის გაბმასაც ცდილობდა ჯერ დასავლეთთან და შემდეგ, დასავლეთის სიშორის გამო, ქრისტიანულ რუსეთთან, რომელიც ქვეყნიერებას „ბიზანტიის მემკვიდრედ" ევლინებოდა.

მაგრამ ეს „საიდუმლო ქსელები" ხშირად სააშკარაოზე გამოჩნდებოდნენ და ამ დროს თურქეთი და სპარსეთი, რომლებიც რუსეთის ივერიაში მოპატიჟებაში უდიდეს საფრთხეს ხედავდნენ, ურთიერთშორის ძველ მტრობას უმალ ივიწყებდნენ და საქართველოს საშინელის სილძაფრით თავს ესხმოდნენ. ეხლა ორივეს გეგმა საქართველოს გაყოფა, ხალხის აწყვეტა და მათი სამეფო-სამთავროების ამოგდება იყო; ამის განსახორციელებლად ისენი უხვად იყენებდნენ ლეკების ბრბოებს, მით უმეტს, რომ ეს საქართველოს საზღვრებთან მუდამ მზად მდგომი რაზმები, მათ არაფერი უჯდებოდათ. ამათი გასამრჯელო ხომ ნადავლი უნდა ყოფილიყო, რასაც ისენი ასე უხვად შოულობდნენ ქართლ-კახეთში.

ამ შემოსევებმა ქვეყნის ეკონომიური მდგომარეობა კიდევ უფრო გააჩანაგა„ ხოლო რუსეთის დაპირებები დაპირებებად რჩებოდა და საქართველოს პოლიტიკა ჩიხში ემწყვდეოდა. ორ ძლიერ მეზობელთა წინაალმდეგობაზე ტრადიციული თამაში უკვე შეუძლებელი ხდებოდა.

ამ კრიტიკულ მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ შინაურ სიმტკიცეს და საქართველოს სამეფოსადმი ყოველი კუთხის სრულ და ერთგულებას თუ შეეძლო. ეს მთლიანობა-ერთგულება კი შეუძლბელი გამხდარიყო დიდ ფეოდალთა განდგომის და ცალკეულ საერისთავოთა გაზვიადებულ პარტიკულარიზმის გამო.

ამგვარ განმდგარ საერისთავოთა შორის ყველაზე უტეხი და ურჩი ქსნის ერისთავები იყვნენ. ქსნის ერთისთავთა შეუპოვარმა წინაალმდეგობამ და ბრძოლებმა მრავალი უბედურება დაატეხა თავს ქართლ-კახეთს და ბოლოს ქვეყანა ისე დაასუსტა, რომ შეამზადა რუსეთის მკვიდრად მოკალათება ჯერ საქართველოში და შემდეგ კავკასიაში. ქსნის საერისთავოს ეს ამბები, კერძოდ კი ყველაზე ურჩ ერისთავის, შანშესი, ასე თუ ისე ემთხვევა დრამატიულ იმ ქეთევანისას, რომელიც ქსნის ფეოდალთა რძალი გახდა, მათი უკანასკნელი ბრძოლების უნებლიე მონაწილე და რომლის სახელთანაც არის დაკავშირებული ცნობა თბილისის სიონის „ფარდაზე" , რის შესახებაც ცალკე გვექნება ლაპარაკი.

ქსნის ერისთავების შორეულ წინაპრად იხსენიება შალვა ქვენა-ფლაველი (ანუ ქვენაფენელი), რომელიც მეფე დავით 6 დროს (1292-1310) საქართველოს სტრატეგიულ გასაღებს, ქსნის ხეობას ხანაგებდა.

კრიტიკულ დროს შალვა მეფეს განუდგა და მონღოლთა ბანაკში გამოცხადდა. მონღოლებმა ის წინამძღვრად (ერისთავად) განაჩინეს და ცხრაზმის გზით უკან წარმოგზავნეს. (ქსნის ერისთავების წინაპრებზე უფრო დაწვრილებით ქვევით შევჩედრებით).

ქვენა-ფელაველნი იწოდებოდნენ აგრეთვე ვირშელებად და ლარგველებად. ლარგვეთში მათ ჰქონდათ **დიდი ციხე სიმაგრეები და ცნობილი მონასტერი (იხ.** მ. ჯანაშვილი,, „საქართველოს ისტორია", გვ. 291-292 და მ. ბროსე: (ფრანგულად) „საქართველოს ისტორია" ნაწილი 2, წიგნი 1, 1856, აგრეთვე უკანასკნელის „არქეოლოგიური მოგზაურობა ამიერკავკასიაში 1847-1848" პეტერბურგი და ისტ. დიმ. ბაქრაძეს „კავკაზ ვ დრევნიხ პამიატნიკახ ხრისტიანსტვა" „აქტი" ტ. 5. თბილისი 1873 წ.)

ისტორიკოსი დასძენს, რომ „ქსნის ერისთავთა მატიანეს" სიტყვით, ისენი მეექვსე საუკუნეში გადმოსულან დვალეთიდან და დამკვიდრებულან ქსან-არაგვის ხეობაში, მათი წინანდელი გვარი ყოფილა ბაბილური (რასაც ბატონიშვილი ვახუშტი ამოწმებს).

1400 წ. ქვენა ფლაველი ვირშელი იხსენიება ერთისთავ-ერისთავად. ლუარსაბ მეორის დროს (1605-1616) ქსნის ერისთავად ზის იესე.

მარი ბროსეს მოწმობით, რასაც დ. ბაქრაძეც ადასტურებს, ქსნის პირველ ერისთავად იხსენიება იესე პირველი, რომელიც 1615-1622 წწ. ერისთავობდა.

ქსნის საერისთავოს უკედ გაცნობისათვის უნდა გავიხსენოთ მოკლე აღწერა მისი ციხე-კოშკების და მონასტრებისა; ჭეშმარიტად ისენი მიუვალნი და საგანგებოდ გამაგრებულნი ყოფილან (იხ. ალ. ორბელიანის დამოწმება მის „მფეერეკლეს ცოტა ამბებში), რათა ჩვენი ქვეყნის ქრისტ. კულტურის კერები იმ ცეცხლიან და მღელვარე დროში მტკიცედ დაეცვათ და შეენახათ.

(გაგრძელება იქნება)

† აკაკი ბაბავა

ეროვნული

## სიტყვა, წარმოთქმული გრიგოლ ორბელიანის დასაფლავებაზე

აჰა, ჩვენს წინაშე მდებარეა საუკუნოდ განსვენებული კაცი, რომლის მიცვალებამ გლოვის ზარით გაიხმაურა მთელს საქართველოში და ყოვლის ჭეშმარიტის ქართველის გული შესძრა მართლადა ჭეშმარიტის მწუხარებითა.

მისმა წარჩინებულმა სახელმა შეჰკრიბა აქ ყოველი წარმომადგენელი ჩვენის ქვეყნისა. აქ არიან ქალი და კაცი, უცნობი და ნაცნობი, ნათესავი და უცხო, მოხუცი და ჭაბუკი, ღარიბი და მდიდარი, სოფლელი და მოქალაქე, მცირე და დიდი, გლეხი და მუშაკი, რათა ერთად, შეერთებულის გლოვით, ამ უკანასკნელს ჟამს საქართველოს ერი, მაგათგან ესეთის ერთობით წარმოდგენილი, გამოეთხოვოს თავის სასიქადულო კაცს, სახელოვანს შვილს, სიტყვა მაღალ მოძღვარს, საუკუნოდ ჩვენთვის დადუმებულს, საუკუნოდ ჩვენგან წასულსა.

არა მარტო მისმა ხარისხმა და ნამსახურობამ, არა მარტო მისმა ღვაწლმა მხედრობისამ და მოქალაქობისამ მოიწვია აქ, ამ საერთო გლოვის ჟამს, ამდენი ხალხი სხვა და სხვა წოდებისა, სქესისა, ხარისხისა და ჰასაკისა, არამედ იმანაც, რომ იგი იყო თვითმპყრობელი ჩვენის ქართულის ენისა, იგი იყო „მეუფე" ჩვენის სიტყვიერების ძალ-ღონისა და სიმდიდრისა. იგი იყო მწერალი ჩვენი და ჩვენ — სასოებით მისი მსმენელნი. იგი იყო —

ვის არ შეეხო ზაკვის გესლი ძმისა განკიცხვად,
სულითა წრფელი, მშვიდი გულით, ფიქრით განწმენდილ,
ვინც ძლიერებას მძლევის სიტყვით ამცნო სიმართლე
და ძმებს დაცემულთ მისცა ხელი აღსადგენადა.

იგი იყო კაცი, რომელმაც ქვეყანას უანდერძა:
მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა ღირსებას!

იგი იყო კაცი, რომელიც —
დაჰნატრდა დროთა, როს აქვნდათ ტრფობა
მამულისადმი გულს აღბეჭდილლად,

იგი იყო კაცი, რომელმაც ლაღადებით წარმოსთქვა:
იცოდეთო, რომ არიან ღარიბნიც,
არის სადმე სიმწარითა ცხოვრება.

იგი იყო კაცი, რომელსაც სწყუროდა:
რომ ჩვენ განვახლდეთ,
სულით ავმაღლდეთ —
და განქრეს ბნელი უმეცრებისა.

იქნებ ზოგმა სთქვას, ყოველივე ეგე სიტყვაა და არა საქმეო. მაგრამ არიან ქვეყანაზედ იმისთანა რჩეულნი, იმისთანა „ზეგარდმო მადლით ცხებულნი", რომელთაც მინიჭებული აქვთ ერთი სასწაულ-მოქმედი ძლიერება. იგი სასწაულ-მოქმედი ძლიერება თითონ სიტყვასაც საქმედა ჰქმის. ერთი იმათგანი, ერთი იმ რჩეუთაგანი, ერთი იმ ზეგარდმო მადლით ცხებულთაგანი იყო იგი, ვისაც დღესა ვტირით და ამიტომაც მისი სიტყვაც თითონ საქმეა.

ჩვენის მშვენიერის ქვეყნით თავმოწონებულმა აღტაცებით წარმოსთქვა: „სხვა საქართველო სად არისო!" და, ეჰა, ეხლა თითონ საქართველო დაჰყურებს შენს საფლავს, და სასოწარკვეთილებით, გლოვით იძახის: „სხვა გრიგოლ ორბელიანი სად არისო".

შენ აღარ ხარ და შენს საყვარელს საქართველოს გულში ჩასწყდა კიდევ ერთი ძარღვიცა.

ფუჭია იგი სიცოცხლეო, რომელიც ველარას არგებსო მამულსო, — სთქვი შენ. ჩვენ მაგას შენზედ ვერ ვიტყვით.

შენ განვლე შენი ცხოვრების გზა და აღბეჭდეცა ნავალი.

შენი ქვეყნის შვილი ქართველი რომ დააკვირდება მაგ შენს ბრწყინვალე ნავალს, მაღალის ნიჭით და მაღალის სიტყვიერებით შუქმოფენილსა, ქვეყნის წინაშე თავს მოიწონებს, რომ საქართველოს შენისთანა კაცი ჰყავდა და იმავე დროს იგლოვებს კიდეც, რომ შენ ჰყავდი და აღარ ეყოლები.

მშვიდობით, ჩვენო სასიქადულო მამულისშვილო, ჩვენო სახელოვანო ქართველო, ჩვენო დიდებულო მწერალო!

**ილია**

## აბრამ ლინკოლნი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ქ. აზრი" №84)

როგორც ვიცით, პრეზიდენტი პოლკის აზრით ომის გამოცხადების უფლება მხოლოდ შეერთებული შტატების კონგრესსა ჰქონდა, პრეზიდენტის უფლება-მოვალეობა კი შეადგენს აიცდინოს ომი, ან მოამზადოს მისთვის ნიადაგი. ხანდისხან პრეზიდენტს შეუძლიან უკეთესი მიმართულებით წარმართვის იმედით მიუშვას მოვლენები და ამით მტერს მისცეს უპირატესობა. მაგრამ აბრამ ლინკოლნისათვის არჩევანი აღარ არსებობდა, უკვე გვიან იყო...

ლინკოლნი სრულიად ობლად გრძნობდა თავს, ვინაიდან ის არ ეკუთნოდა თავის ეპოქას. მას შეეძლო ეოხუნჯა მეგობრებში, მაგრამ არასოდეს, არავისთან გულგახსნილი არ იყო. ამიტომ ამბობდნენ, რომ „ის უცხო იყო ეპოქისთვის და ეპოქა მისთვის". მას ყველა იცნობდა; მაგრამ ისეთს, როგორიც სინამდვილეში იყო, მას არავინ არ იცნობდა. უნარმოკლებული იყო ეძებნა მეგობარი და თანამგრძნობი. ოჯახურ ცხოვრებაშიც მას ყველაფერი „პირობითი" ჰქონდა და ის თავის დასაცავ ფარად არ გამოადგებოდა. ე. ი. არ იცნობდა მას არც საკუთარი ოჯახი ისეთს, როგორიც ის იყო. ამრიგად, მარტოდ მარტო ჩაძირული იყო საკუთარ ფიქრებში და ეკუთნოდა მხოლოდ სამშობლოს.

ასეთი ადამიანები მელანქოლიით ათავებენ, თუ მათ ნებისყოფას ღრმა რწმენა არ აკავებს. ლინკოლნს საზოგადო საქმისადმი მიძღვნილობამ მისცა ძალა დაეძლია არა მარტო დაბრკოლებები, არამედ გაემარჯვა საკუთარ თავზეც. ერთხელ უახლოეს მეგობრებთან საუბრის დროს მან სთქვა: „მე ვიცი რომ არსებობს ღმერთი, რომელსაც სძულს უსამართლობა და მონობა. მე ვგრძნობ დიდი ქექა-ქუხილის მოახლოვებას და ვიცი მისი მიზანიც, ამიტომ, თუ ღმერთს ადგილი და საჩემო საქმე აქვს, მე მზათა ვარ მას ვემსახუროო".

უბრალო სიტყვებით ეს ხომ მხოლოდ მის ღრმა რწმენის მაჩვენებელია! რომ ის მზათ იყო შებრძოლებოდა მონობას და მის აღსაკვეთად არავითარი დაბრკოლების წინ არ შეჩერდებოდა.

ლინკოლნის მეგობრების მტკიცებით ის ყოველთვის ნერვიულობდა და ღელავდა, როდესაც მას სთხოვდნენ გაემჟღავნებინა თავისი რწმენის საფუძვლები. პარტიული პოლემიკის, უფრო კი საარჩევნო დატაკებებში, ლინკოლნი ბევრჯერ ანტირელიგიურად მონათლეს. ერთ ასეთ „თავდასხმას" მან უპასუხა: „ეკლესია, რომელიც თხოულობს მაცხოვარის მიერ ბოძებული კანონის თანხმობას: ე. ი. „შეიყვარე ღმერთი შენი სრული გულით, სრული სულით და მთელი შენი ფიქრით, ან: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითა თავი შენი" ამგვარ ეკლესიას მე სიამოვნებით შეუერთდები და მას ვემსახურებიო".

(გაგრძელება იქნება)

**არ. დონაური**

## ქართულ სათვისტომოში

ბ-ნ გრ. აბულაძეს თაოსნობით სექტემბრის 27-ს, უკრაინულ მართლმადიდებელ ეკლესიაში გადახდილ იქმნა გენ. გ. კვინიტაძეს და ევ. აბულაძეს პანაშვიდი.

რადგან მოწყობილი იყო „დაპყრობილ ერთა" ერთ-ერთი გაირთიანების სახელით, ამიტომ, პანაშვიდს, ქართველების გარდა მრავლად დაესწრო ჩვენი მეგობარი ერების წარმომადგენლებიც.

საეკლესიო ცერემონიას ზედ მოჰყვა სამოქალაქო პანაშვიდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ბ-ნი ალ. ჩხენკელი.

წარმოთქმულ მრავალ სიტყვებს შორის ხაზ გასასმელია დრ. გ. ნაკაშიძეს სიტყვა, რომელმაც აღნიშნა, რომ „გენერალი გ. კვინიტაძე, საქართველოს უკანასკნელი მთავარსარდალი, იყო უცხოეთში განსახიერება, ცოცხალი ლეგენდა ჩვენი მხედრობის, მისი მებრძოლი სულის ... არ არის საჭირო გავიხსენოთ სიდიადე-ძლიერებით აღსავსე ჩვენი წარსული, საკმარისია ოდნავ თვალი გადავავლოთ საქართველოს მის დაცემის ხანაში, რომ ნათლად დავინახოთ, თვით საშინელ პირობებშიც კი საქართველო იყო და არის უნიჭიერეს მხედრების სამშობლო. გავიხსენოთ გიორგი სააკაძე, თეიმურაზ პირველი, არჩილი, გიორგი მეთერთმეტე, ლევანი, ქაიხოსრო და მრავალნი სხვანი, ვინც მოიხვეჭა სახელი არამც თუ თავის სამშობლოში, არამედ უცხოეთშიც. ჩვენ ხომ ვიცით, რომ დიდი ნაპოლეონი მთელ რუსეთის ჯარში თავის ღირსეულ მოპირდაპირედ მხოლოდ ქართული წარმოშობის გენ. პეტრე ბაგრატიონს სთვლიდა და რა გასაკვირველია, თუ გიორგი კვინიტაძე, მკვდრეთით აღდგენილი საქართველოს მთავარსარდალი, თავის წინაპართა ღირსეული შთამომავალი იქნებოდა!

მაგრამ საქართველო ხომ არ იყო ძლიერი მხოლოდ თავისი ხმლით, თავისი გმირული, ქართველური შემართებით. განა შეიძლება მოვიგონოთ ჩვენი დიდება — ძლევამოსილების სიმბოლო თამარი და მის უკვდავ სახელთან ერთად ბრწყინვალე შარავანდედით მოსილი ქართული კულტურა — პოეზიის გვირგვინოსანი შოთა რუსთაველი არ გავიხსენოთ?! დიახ! ყოველთვის, მუდამ ჟამს, თვით დაცემა-დაკნინების ხანაშიც საქართველოს, ორი რამ ახასიათებდა: ხმალი და ჩანგი, ბრძოლის დაუოკებელი ჟინი და სიტკბოება, — სინაზით ა ღ ს ა ვ ს ე ს ი მ ღ ე რ ა და ამ ტკბილ სიმღერა — პოეზიის ერთი ქურუმთაგანი იყო ახლად გარდაცვალებული საყვარელი ევტიხი აბულაძე, რომელიც შორიდან შესტრფოდა, დამღეროდა თავის წარმტაც ქვეყანას და სასოწარკვეთილ, უსახლკარო ქართველ ლტოლვილებს თავისი ლამაზი სულის სიღრმიდან აღმოხეთქილი ტკბილი ჰანგებით ტანჯვა-ტკივილებს უამებდა, უმსუბუქებდა. დღეს ისიც ჩვენს მთავარსარდალთან ერთად სამუდამოდ გამოგვემშვიდობა.

საუკუნო იქნება ხსენება მათიო".

სიტყვა წარმოსთქვა ბ-ნ ი. მენთეშაშვილმაც, რომელმაც განსვენებულების დამსახურების აღნიშვნა ერთგვარი მოწოდებით დაასრულა: „მათი ხსოვნა და პატივისცემა გვავალდებულებს უფრო მეტად შემჭიდროვებას და უფრო ენერგიულ ბრძოლას საქართველოს დამოუკიდებლობის იდეის შენახვისა და გამარჯვებისათვისო".

---

ღრმა მწუხარებით ვაცნობებთ ქართულ საზოგადოებას, რომ ამა წლის აგვისტოს 7-ს, საფრანგეთში, გარდაიცვალა დამოუკიდებელი საქართველოს მხედართ მთავარი

**გენ. გიორგი კვინიტაძე**

„ქართული აზრი"-ს რედაქცია თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის შვილებს, შვილისშვილებს და მეგობრებს.

---

***

## † ალექსანდრე ჯინჭარაძე

**ხელს ჩაეყინა ქართული ჯვარი**
**ბევრჯერ დაცული ქართული დროშით,**
**შვილმა ატარა მშობელის გვარი**
**და არ დაბრუნდა საქართველოში.**

**ჩიოდა ფიქრი, ცრემლით ნაკურთხი,**
**ცოცხალი მუდამ; დღესაც — ძველ დროშიც,**
**რომ საქართველოს შვილი ყოველთვის**
**იმარხებოდეს საქართველოში.**

გასულ იანვრის 16-ს, ალ. ჯინჭარაძეს შეუსრულდა 70 წელი, ხოლო სექტემბრის 7-ს სამუდამოდ დახუჭა თვალი და ქართულმა საზოგადოებამ მიაბარა ის შეერთებული შტატების მიწას ნიუ იორკში.

მართალია უკანასკნელი წლის განმავლობაში ავადმყოფობდა, მაგრამ მაინც მოულოდნელი და თავზარდამცემი იყო მისი სიკვდილი.

ვის არ გაუგონია, ან არ გახსენებია ქართული სამხედრო სასწავლებელი და მისი მოსწავლენი, რომლებმაც 1921 წ. რუსულ იმპერიალიზმთან ბრძოლაში საამაყო ფურცელი ჩაწერეს საქართველოს ისტორიაში. ალ. ჯინჭარაძე ერთი იმათთაგანია, რომლებმაც კოჯორ-ტაბახმელაზე გამოავლინეს ქართული მამაპაპეული სიმხნევე და სამშობლოსადმი მიძღვნილობის მაღალი უნარი. მას შემდეგ დიდმა დრომ გაიარა, მაგრამ განსვენებულს ეყო ნებისყოფა, რომ სამშობლოს იდეით გაჟღენთილი, ქართველ მამულიშვილად გარდაიცვალა.

მიუხედავად იმისა, რომ მთელი ემიგრანტობის მანძილი მან ფრანგულ ჯარში გაატარა, სადაც მას უფასებდნენ კეთილსინდისიერ სამსახურს და პატივს სცემდნენ, მაინც ის იმდენად ქართველი დარჩა, რომ შეერთებულ შტატებში ჩამოსვლისთანავე აქტიური მონაწილე გახდა აქ არსებული სათვისტომოს ცხოვრებისა. ის იყო, თითქმის, მუდმივი წევრი სათვისტომოს გმგეობისა; თავთავის დროზე ასრულებდა, ხან მდივნის, ხან მოლარის თანამდებობას და ყოველ მის საქმეს თანსდევდა დაკვირვება, სიყვარული და საქმისადმი მაღალ პატიოსნური მიძღვნილობა. მისი პირადი ღვაწლის წყალობით აქაურ ქართველობას შესაძლებლობა მიეცა ენახა ჩვენი პარიზელი მოძღვარი დეკ. მამა ილია და მშობლიურ ენაზე მოესმინა წირვა ლოცვა.

მთავარი მისი დამსახურება იყო და დარჩება, რომ მან პირველმა ითავა შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველების აღრიცხვა და დაგვიტოვა მათი სრული სია. მას უშუალო კავშირი ჰქონდა სხვა და სხვა შტატებში მცხოვრებ ქართველებთან, არა მარტო წერილობით, არამედ მიმოსვლით და პირადი შეხვედრებით. მან ბევრი „გამდგარი" ქართველის გული მოინადირა და ქართულ სათვისტომოს დაუბრუნა.

მისი საფლავი მიემატა იმ ქართულ საფლავების რიცხვს, რომლებმაც განვლილ გზაზე დატოვეს ქართული ნაკვალევი და ქართველათ დაბადებულები უცხო მიწას ქართველებლებათ მიებარნენ.

აუნაზღაურებელია მისი დანაკლისი ქართული საზოგადოებისათვის.

**ვ. სანგულია**

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ გასული აგვისტოს 14-ს, ვალენტინეში (საფრანგეთი) გარდაიცვალა ადგილობრივი სათვისტომოს თავმჯდომარე და გამოჩენილი მგოსანი

**ევტიხი აბულაძე**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ქვრივს, შვილებს, ძმას და მეგობრებს.

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ ნოემბრის 7-ს, ნიუ იორკში გარდაიცვალა

**გიორგი ჭიჭინაძე**

„ქართული აზრის" რედაქცია თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის ქვრივს და მეგობრებს.

---

ღრმა მწუხარებით ვაუწყებთ ქართულ საზოგადოებას, რომ სექტემბრის 7-ს, ნიუ იორკში გარდაიცვალა, ქართული სამხედრო სკოლის ყოფილი იუნკერი, ფრანგული ჯარის მაიორი და ქართული სათვისტომოს დიდი მოამაგე

**ალექსანდრე ჯინჭარაძე**

„ქართული აზრის" რედაქცია ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებს მის შვილს და მეგობრებს.

---

„ქართული აზრის" რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ აგვისტოს 17-ს, სან-ფრანცისკოში გარდაიცვალა

**ალექსანდრე მიქელაძე**

თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

---

„ქართული აზრის" რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ საფრანგეთში გარდაიცვალა

**ალექსანდრე ტარასაშვილი**

დასაფლავებულ იქმნა ლოვილის ქართულ სასაფლაოზე ნოემბრის 21-ს.

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

---

„ქართული აზრის" რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ საფრანგეთში გარდაიცვალა

**გიორგი ჩხეიძე**

დასაფლავებულ იქმნა ლოვილის სასაფლაოზე ნოემბრის 24-ს.

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

---

„ქართული აზრის" რედაქცია დიდი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ გერმანიაში გარდაიცვალა

**მათე კერესელიძე**

ღრმა თანაგრძნობას და სამძიმარს უცხადებთ მის ოჯახს, ნათესავებს და მეგობრებს.

---

**G. A. Press**

ღებულობს ყოველგვარ შეკვეთებს, როგორც ქართულ, ისე უცხო ენებზე.

149 Avenue A
New York, N. Y. 10009
**Tel.: 473 - 0240**

---

**საგაზეთო მასალები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:**

**Mr. G. Djakeli**
***535 E. 78 Street,***
***New York, N. Y. 10021***

**ამავე მისამართით უნდა გამოიგზავნოს შემოწირულებები.**

***EDITOR IN CHIEF: M. Sindikeli.***
***EDITORIAL BOARD: G. Lolua, G. Zaldastani, W. Ssangulia, Dr G. Gabliani.***